სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/209

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის №2 ოქმისა (20.12.22) და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 20 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2022 წლის 20 დეკემბრის ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის – სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორ გრიგოლ ხელიძის უფლებამოსილება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**